



31  
512  
011-77

Купон "ХАШУК БЕРПОУ" (Watermark)



თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის  
„დინამოს“ სტადიონი

ავტორი-შემდგენელი

გ. აკოპოვი

«ФУТБОЛ-77»

Справочник-календарь

Автор-составитель Г. Акопов

(На грузинском языке)

# ფეხბურთი

ცნობარი-კალენდარი

1977

თბილისი



## ჩემპიონთა თასი

1955 წლის შემოდგომაზე ფრანგული სპორტული გაზეთის „ეკიპის“ ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა ტურნირს, რომელმაც შემდგომ დიდი პოპულარობა მოიხვეჭა და ტრადიციული გახდა. „ეკიპის“ ჟურნალისტებმა წინადადება წამოაყენეს გათამაშებულიყო პარიზი (ეს ჯილდო დააწესეს კიდეც), რომელსაც გათამაშებდნენ ევროპის ქვეყნების ჩემპიონები. ეს იდეა ყველს მოეწონა და კონტინენტის საუკეთესო კლუბები დიდა ინტერესით მონაწილეობენ ამ შეჯიბრებაში და დიდად აფასებენ მასში გამარჯვებას.

შარშან შემოდგომაზე სტარტი აიღო 22-ე გათამაშებამ. მანამ მოგიტხოვრებდეთ, თუ როგორ მიმდინარეობდა ბრძოლა ამ გათამაშების პირველ ეტაპზე, გავეცნოთ წინა ტურნირების ფინალისტებსა და გამარჯვებულებს. სიაში მოცემულია ფინალური მატჩების ჩატარების დრო და ადგილი, მათი მონაწილეები და შედეგი.

- 12. VI. 1956 წ. პარიზი. „რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი) — „სტად დე რეიმსი“ (საფრანგეთი) — 4:3
- 30. V. 1957 წ. მადრიდი. „რეალი“ (მადრიდი) — „ფიორენტინა“ (ფლორენცია, იტალია) — 1:0
- 29. V. 1958 წ. ბრიუსელი. „რეალი“ (მადრიდი) — „მილანი“ (იტალია) — 3:2
- 3. VI. 1959 წ. შტუტგარტი. „რეალი“ (მადრიდი) — „სტად დე რეიმსი“ (საფრანგეთი) — 2:0
- 18. V. 1960 წ. გლაზგო. „რეალი“ (მადრიდი) — „აინტრახრატი“ (მაინის ფრანკფურტი, გფრ) — 7:3
- 31. V. 1961 წ. ბერნი. „ბენფიკა“ (ლისაბონი, პორტუგალია) — „ბარსელონა“ (ესპანეთი) — 3:2

- 2. V. 1962 წ. ამსტერდამი. „ბენფიკა“ (ლისაბონი) — „რეალი“ (მადრიდი) — 5:3
- 22. V. 1963 წ. ლონდონი. „მილანი“ (იტალია) — „ბენფიკა“ (ლისაბონი) — 2:1
- 27. V. 1964 წ. ვენა. „ინტერნაციონალე“ (მილანი, იტალია) — „რეალი“ (მადრიდი) — 3:1
- 27. V. 1965 წ. მილანი. „ინტერნაციონალე“ (მილანი) — „ბენფიკა“ (ლისაბონი) — 1:0
- 11. V. 1966 წ. ბრიუსელი „რეალი“ (მადრიდი) — „პარტიზანი“ (ბელგრადი, იუგოსლავია) — 2:1
- 25. V. 1967 წ. ლისაბონი. „სელტიკი“ (გლაზგო, შოტლანდია) — „ინტერნაციონალე“ (მილანი) — 2:1
- 29. V. 1968 წ. ლონდონი. „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი) — „ბენფიკა“ (ლისაბონი) — 4:1
- 28. V. 1969 წ. მადრიდი. „მილანი“ (იტალია) — „აიაქსი“ (ამსტერდამი, ჰოლანდია) — 4:1
- 6. V. 1970 წ. მილანი. „ფეიენოორდი“ (როტერდამი, ჰოლანდია) — „სელტიკი“ (გლაზგო, შოტლანდია) — 2:0
- 2. VI. 1971 წ. ლონდონი. „აიაქსი“ (ამსტერდამი) — „პანათინაიკოსი“ (ათენი, საბერძნეთი) — 2:0
- 31. V. 1972 წ. როტერდამი. „აიაქსი“ (ამსტერდამი) — „ინტერნაციონალე“ (მილანი) — 2:0
- 30. V. 1973 წ. ბელგრადი. „აიაქსი“ (ამსტერდამი) — „იუვენტუსი“ (ტურინი, იტალია) — 1:0
- 17. V. 1974 წ. ბრიუსელი. „ბავარია“ (მიუნჰენი, გფრ) — „ატლეტიკო“ (მადრიდი, ესპანეთი) — 4:0
- 27. V. 1975 წ. პარიზი „ბავარია“ (მიუნჰენი) — „ლიდს იუნაიტედი“ (ინგლისი) — 2:0
- 12. V. 1976 წ. გლაზგო. „ბავარია“ (მიუნჰენი) — „სენტ-ეტენი“ (საფრანგეთი) — 1:0

გაგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში საბჭოთა კლუბებს დებიუტი ჰქონდათ 1966 წელს. პირველად თავიანთი ძალები გამოსცადეს მოსკოვის ტორპედოელებმა, შემდეგ კიევის „დინამომ“ (ოთხჯერ — 1967 — 68, 1969 — 70, 1972 — 73, 1975 — 76 წ.წ.), მოსკოვის „სპარტაკმა“



(1970 — 71 წწ.) ცსკა — მ (1971 — 1972 წ.წ.), ვოროშილოვ-გრაღის „ზარიაშ“ (1973—1974 წწ.). და ერევნის „არარატმა“ (1974 — 1975 წწ.) ჩვენი კლუბები არც თუ ისე წარმატებით გამოვიდნენ ამ გათამაშებაში. მეოთხედფინალის შემოთ მათ არ მიუღწევიათ. ამჟამად მიმდინარე ტურნირში კიევის დინამოელებმა წარმატებით გადალახეს პირველი ეტაპები და ნახევარფინალში გავიდნენ.

უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი კვლავ წარმატებით იასპარეზებენ.

მოდით ვნახოთ როგორ მიმდინარეობდა ბრძოლა ტურნირის დამამთავრებელ ეტაპებზე. გაგახსენებთ, რომ მეტოქენი ერთმანეთს ხვდებოდნენ ორჯერ — საკუთარ და მოწინააღმდეგის მიწებზე.

#### პირველი წრე — მეთექვსმეტედფინალი

(15 და 29 სექტემბერი)

„დინამო“ (კიევი) — „პარტიზანი“ (ბელგრადა, იუგოსლავია) — 3:0, 2:0

„ლივერპული“ (ინგლისი) — „კრუსეიდერსი“ (ბელფასტი, ჩრდ. ირლანდია) — 2:0, 5:0

„ფერენცვაროში“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) — „ჟენესი“ (ლუქსემბურგი) — 5:1, 6:2.

„სენტ-ეტიენი“ (საფრანგეთი) — ცსკა „სეპტემვრიისკო ზნამე“ (სოფია, ბულგარეთი) — 0:0, 1:0

„ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია) — „დანდელკი“ (ირლანდია) — 1:1, 6:0

„ბორუსია“ (მიონხენგლადბახი, გერ) — „აუსტრია“ (ვენა, ავსტრია) — 0:1, 3:0

„რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი) — „სტალი“ (მელეცი, პოლონეთი) — 2:1, 1:0

„დინამო“ (დრეზდენი, გერ) — „ბენფიკა“ (ლისაბონი, პორტუგალია) — 2:0, 0:0

„ციურიხი“ (შვეიცარია) — „გლაზგო რეინჯერსი“ (შოტლანდია) — 1:1, 1:0

„ბავარია“ (მიუნხენი, გერ) — „კეგე“ (დანია) — 5:0, 2:1

„ბრიუგე“ (ბელგია) — „სტიაუა“ (ბუქარესტი, რუმინეთი) — 2:1, 1:1

პაოკი (სალონიკი, საბერძნეთი) — „ომონია“ (კიპროსი) — 2:0, 1:1

„ტორინო“ (იტალია) — „მალმე“ (შვეცია) — 2:1, 1:1

„ტრაბზონსპორი“ (თურქეთი) — „აკრანესი“ (ისლანდია) — 3:1, 3:2

„ბანიკი“ (ოსტრავა, ჩეხოსლოვაკია) — „ვიკინგი“ (ნორვეგია) — 1:2, 2:0

„კუოპიო პალოსეურა“ (ფინეთი) — „შლიემა უონდერესი“ (მალტა) — 1:2, 1:0,

#### მეორე წრე — მერვედფინალი

(20 ოქტომბერი — 3 ნოემბერი)

„დინამო“ (კიევი) — პაოკი — 4:0, 2:0.

„ბრიუგე“ — „რეალი“ — 0:0, 2:0.

„ლივერპული“ — „ტრაბზონსპორი“ — 0:1, 3:0.

„სენტ-ეტიენი“ — „ეინდჰოვენი“ — 1:0, 0:0.

„დინამო“ (დრეზდენი) — „ფერენცვაროში“ — 0:1, 4:0.

„ბავარია“ — „ბანიკი“ — 1:2, 5:0.

„ბორუსია“ — „ტორინო“ — 2:1, 0:0.

„ციურიხი“ — „კუოპიო პალოსეურა“ — 2:0, 1:0.

#### მესამე წრე — მეოთხედფინალი

(2 და 16 მარტი)

„დინამო“ (კიევი) — „ბავარია“ — 0:1, 2:0.

„ბორუსია“ — „ბრიუგე“ — 2:2, 1:0.

„ციურიხი“ — „დინამო“ (დრეზდენი) — 2:1, 2:3.

„ლივერპული“ — „სენტ-ეტიენი“ — 0:1, 3:1.

#### მეოთხე წრე — ნახევარფინალი

(6 და 20 აპრილი)

„დინამო“ — „ბორუსია“

„ციურიხი“ — „ლივერპული“



## თასების გეოგრაფია

ეს გათამაშება თავისი მნიშვნელობით მეორეა ევროპის ჩემპიონთა თასზე შეჯიბრების შემდეგ და ხუთი წლით უმცროსია მასზე — პირველი მატჩები მოეწყო 1960 წელს. პირველ ორ წელს ამ ტურნირს ჰქონდა ერთი თავისებურება — ფინალი შედგებოდა ორი მატჩისაგან, მაგრამ შემდეგ იგი ტარდება იმ რეგლამენტით, როგორც ჩემპიონთა თასი.

ქვემოთ მოყვანილია ყველა თექვსმეტი ფინალის სია.

- 1961 წ. „ფიორენტინა“ (ფლორენცია, იტალია) — „გლახგო რეინჯერსი“ (შოტლანდია) 17. V. — გლახგოში — 2:1, 27. V. — ფლორენციაში — 2:0.
- 1962 წ. „ატლეტიკო“ (მადრიდი, ესპანეთი) — „ფიორენტინა“ (იტალია) 19. V — გლახგოში — 1:1, 5. IX. — შტუტგარტში — 3:0.
15. V. 1963 წ. როტერდამი. „ტოტენჰემ ჰოტსპური“ (ლონდონი, ინგლისი) — „ატლეტიკო“ (მადრიდი) — 5:1
15. V. 1964 წ. ანტვერპენი. „სპორტინგი“ (ლისაბონი, პორტუგალია) — მტკ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) — 1:0
19. V. 1965 წ. ლონდონი. „ვესტ ჰემი“ (ლონდონი, ინგლისი) — „მიუნჰენი-1860“ (გფრ) — 2:0.
5. V. 1966 წ. გლახგო. „ბორუსია“ (დორტმუნდი, გფრ) — „ლივერპული“ (ინგლისი) — 2:1.
31. V. 1967 წ. ნიურნბერგი. „ბავარია“ (მიუნჰენი, გფრ) — „გლახგო რეინჯერსი“ (შოტლანდია) — 1:0
23. V. 1968 წ. როტერდამი. „მილანი“ (იტალია) — „ჰამბურგი“ (გფრ) — 2:0
21. 1969 წ. ბაზელი. „სლოვანი“ (ბრატისლავა, ჩეხოსლოვაკია) — „ბარსელონა“ (ესპანეთი) — 3:2.
29. IV. 1970 წ. ვენა. „მანჩესტერ სიტი“ (ინგლისი) — „გურნიკი“ (პოლონეთი) — 2:1.
28. V. 1971 წ. ათენი. „ჩელსი“ (ინგლისი) — „რეალი“ (მადრიდი) — 2:1

24. V. 1972 წ. ბარსელონა. „გლახგო რეინჯერსი“ (შოტლანდია) — „დინამო“ (მოსკოვი) — 3:2

16. V. 1973 წ. სალონიკი. „მილანი“ (იტალია) — „ლიდსი“ (ინგლისი) — 1:0

8. V. 1974 წ. როტერდამი. „მაგდებურგი“ (გფრ) — „მილანი“ (იტალია) — 2:0

14. V. 1975 წ. ბაზელი. „დინამო“ (კიევი) — „ფერენცვაროში“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) — 3:0

5. V. 1976 წ. ბრიუსელი. „ანდერლექტი“ (ბელგია) — „ვესტ ჰემი“ (ინგლისი) — 4:2

ამ გათამაშებაში საბჭოთა გუნდებს დებიუტი ჰქონდათ 1965 წელს. ევროპის სარბიელზე საბჭოთა ფეხბურთის სახელის დაცვა დაეკისრა კიევის „დინამოს“. შემდგომ ტურნირებში გამოდიოდნენ მოსკოვის „სპარტაკი“ (1966-67 წ.წ.), მოსკოვის „ტორპედო“ (1967 — 68 და 1969 — 70 წ.წ.) ლვოვის „კარპატი“ (1971 — 72 წ. წ.), მოსკოვის დინამო“ (1971 — 72 წლების გათამაშებაში იგი ფინალში გავიდა), კვლავ „სპარტაკი“ (1972-73 წ.წ.), „ტორპედო“ (1973 — 74 წ.წ.) და ბოლოს — 1974-75 წლების სეზონში კიევის „დინამო“. ეს გათამაშება დამთავრდა საბჭოთა ფეხბურთელების ტრიუმფით, როცა მათ პირველად მოიგეს ევროპული ტურნირი, შემდეგ კი სუპერთასიც.

ახლა მიმდინარე ტურნირში გამოდიოდნენ სსრ კავშირის 1976 წლის თასის მფლობელი თბილისელი დინამოელები. მოგვყავს ჩატარებული ტურნირის შედეგები:

პირველი წრე — მეთექვსმეტეფინალი

(15 და 29 სექტემბერი)

„კადრიფ სიტი“ (უელსი) — „დინამო“ (თბილისი) — 1:0

დინამოელებმა ეს მატჩი ენერგიულად, მონდომებით ჩაატარეს და რამდენიმეჯერ ჩააყენეს მეტოქე მძიმე მდგომარეობაში. მათ სულ ცოტა ორჯერ შეეძლოთ დაწინაურებულიყვნენ: ჯერ ყიფიანმა მოახვედრა ბურთი ძელს, შემდეგ კი გუ-



ცაევმა მოატყუა 2 მცველი, მეკარეც, მაგრამ მის დარტყმას მიუსწრო მცველმა ჩარლზმა და კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი.

როგორც ეს ხშირად ხდება, ერთი გუნდის წარუმატებლობა მეორისთვის სტიმულად იქცევა ხოლმე: კარდიფელებმა გაუძლეს დინამოელთა იერიშებს, შემდეგ გაათანაბრეს თამაში და 73-ე წუთზე გუნდის შეტევების ლიდერმა ოსტონმა გაიტანა კიდევ გოლი, რომელმაც მატჩის ბედი „კარდიფ-სიტის“ სასარგებლოდ გადაწყვიტა.

დინამოელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: გოგია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ებრალიძე, ხინჩაგაშვილი, ჩივაძე, მ. მაჩაიძე, ჩელებაძე, გუცაევი, ყიფიანი, კობალეიშვილი.

„დინამო“ (თბილისი) — „კარდიფ სიტი“ — 3:0

ეს იყო რვა წლის იძულებითი შესვენების შემდეგ გამართული პირველი მატჩი „დინამოს“ რეკონსტრუირებულ სტადიონზე და გასაკვირი არაა, რომ მან უდიდესი ინტერესი გამოიწვია — ტრიბუნებზე შეიკრიბა 90 ათასამდე მაყურებელი.

დინამოელებმა გაამართლეს გულშემატკივართა იმედები და ჩინებულად ჩაატარეს თამაში. ისინი უტევდნენ მეტოქეს მატჩის პირველ წუთიდან მსაჯის საფინალო ნიშნამდე. მართალია, კარგა ხანს გოლის გატანა მასპინძლებმა ვერ მოახერხეს, მაგრამ გამუდმებით სახიფათოდ უტევდნენ მეტოქის კარს. „კარდიფ სიტის“ მცველებსა და მეკარეს განსაკუთრებით დიდ უსიამოვნებას აყენებდა გუცაევი, რომელსაც ვერაფერს უხერხებდა მისი პერსონალური მეურვე ჩარლზი. სწორედ გუცაევი შეიჭრა მარცხენა ფრთიდან ინგლისელთა საჯარიმო მოედანში და გახსნა ანგარიში.

ამ გოლმა გაათანაბრა მეტოქეთა შანსი. საჭირო იყო ანგარიში დაწინაურება და წარმატების შენარჩუნება. ეს მასპინძლებმა შეძლეს თამაშის ბოლო 15 წუთის მანძილზე, როცა ყიფიანისა და კანთელაძის (11 მეტრიანიდან) ზუსტი დარტყმების შემდეგ მეკარე ირვინი იძულებული იყო ბურთები გამოეტანა საკუთარი კარის ბადიდან.

„დინამო“: გოგია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, ებრალიძე, გ. მაჩაიძე, მ. მაჩაიძე, ჩელებაძე, გუცაევი (წერეთელი), ყიფიანი, კობალეიშვილი.

დინამოელები გავიდნენ მერვედფინალში.

სხვა მატჩები ასე დამთავრდა:

- „ჰამბურგი“ (გფრ) — „კეფლავიკი“ (ისლანდია) — 3:0, 1:1  
„ანდერლექტი“ (ბრიუსელი, ბელგია) — „როდა“ (კერკრადე, ჰოლანდია) — 2:1, 3:2  
მტკ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) — „სპარტა“ (პრაღა, ჩეხოსლოვაკია) — 3:1, 1:1  
„ატლეტიკო“ (მადრიდი, ესპანეთი) — „რაპიდი“ (ვენა, ავსტრია) — 2:1, 1:1  
„ჰარტს ოფ მიდლოტიანი“ (შოტლანდია) — „ლოკომოტივი“ (ლაიფციგი, გფრ) — 0:2, 5:1  
„შლირსკი“ (ვროცლავი, პოლონეთი) — „ფლორიანა“ (ლა-ვალეტა, მალტა) — 2:1, 2:0  
„ბოჰემიანსი“ (დუბლინი, ირლანდია) — „ესბიერგი“ (დანია) — 2:1, 1:0  
„საუთჰემპტონი“ (ინგლისი) — „ოლიმპიკი“ (მარსელი, საფრანგეთი) — 4:0, 1:2  
„გალათასარაი“ (სტამბოლი, თურქეთი) — აიკი (სტოკჰოლმი, შვეცია) — 2:1, 1:1  
„ლევსკი-სპარტაკი“ (სოფია, ბულგარეთი) — „რეისი“ (ლაპტი, ფინეთი) 12:2, 7:1  
„ჰაიდუკი“ (სპლიტი, იუგოსლავია) — „ლიერსი“ (ბელგია) — 0:1, 3:0  
„ბოავისტა“ (პორტუ, პორტუგალია) — „გალაცი“ (რუმინეთი) — 3:2, 2:0  
„ნაპოლი“ (ნეაპოლი, იტალია) — „ბოდო გლინტი“ (ნორვეგია) — 2:0, 1:0  
„აპოელი“ (ნიქოზია, კიპროსი) — „ირაკლისი“ (სალონიკი, საბერძნეთი) — 0:0, 2:0  
„კარიკ რეინჯერსი“ (ჩრდ. ირლანდია) — თავისუფალია



## მეორე წრე — მერვედფინალი

(20 ოქტომბერი — 3 ნოემბერი)

### „დინამო“ (თბილისი) — მტკ (ბუდაპეშტი) — 1:4

თბილისის „დინამოს“ მორიგ მეტოქედ კენჭისყრის მიხედვით ხვდა ძველთაძველი და პოპულარული უნგრული კლუბი მტკ.

ჩვენს ფეხბურთელებს ერთგვარი სიძნელეები აღუდგათ წინ. ჯერ ერთი, კალენდრის მიხედვით მათ 8 მატჩი ითამაშეს სექტემბერში, კიდევ 9 დანიშნული იყო ოქტომბრისთვის. ამას გარდა, ტრავმა მიიღეს და სათამაშოდ ვერ გამოვიდნენ ყიფიანი და გუცაევი, ხოლო კარგახნის იძულებითი შესვენების შემდეგ ითამაშა ჭელიძემ. მაგრამ ეს გარემოება მაინც ვერ ამართლებს „დინამოს“, რომელმაც უნგრელებთან მატჩში აჩვენა უხეირო, არაორგანიზებული თამაში. მხოლოდ შეხვედრის დასაწყისში შეუტია მან მეტოქეს მძაფრად, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. შემდეგ თამაში გათანაბრდა და შესვენებამდე ცოტა ხნით ადრე სტუმრებმა გახსნეს ანგარიში.

თამაშის განახლებისთანავე უნგრელებმა შეძლეს მეორე გოლის გატანაც, ხოლო შეხვედრის დამთავრებამდე მეტოქის დაცვაში დაშვებული მიუტევებელი შეცდომის შედეგად, უნგრელებმა კიდევ ორი ბურთით გაზარდეს ანგარიში და საკუთარ კარში კი მხოლოდ ერთი გოლი გაუშვეს.

„დინამო“: გოგია, ხიზანიშვილი, ჭელიძე, ხინჩაგაშვილი, ებრალიძე, კოპალეიშვილი, მ. მაჩაიძე, ქორიძე, ჩელებაძე (დვალისშვილი), დარასელია, წერეთელი.

### მტკ (ბუდაპეშტი) — „დინამო“ (თბილისი) — 1:0

საკუთარ მინდორზე დიდი ანგარიშით მარცხმა საგრძნობლად გააუარესა დინამოელთა შანსები. ძნელი იყო იმის დაჯერება, რომ გამოცდილი უნგრული კლუბი დათმობდა ისეთ რეალურ შესაძლებლობას, რაც შემდგომ ეტაპზე გასვლა იყო. როგორც მოსალოდნელი იყო, მტკ-ს ფეხბურთელები შინ მოქმედებდნენ ყოველგვარი აზარტისა და რისკის გარეშე, რადგან

ჩინებულად იცოდნენ, რომ თავი ქუდში ჰქონდათ. დინამოელების ცდას, ხელთ ეგდოთ ინიციატივა, მოეპოვებინათ გამარჯვება, შედეგი არ მოჰყოლია. უფრო მეტიც, უკანასკნელ წუთზე მათ საკუთარ კარში ბურთიც კი გაუშვეს. დინამოელები გამოეთიშნენ თასის გათამაშებას.

„დინამო“: გოგია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ჩივაძე, მ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი, გუცაევი, დარასელია, წერეთელი.

### მერვედფინალის სხვა მატჩები

- „საუთჰემპტონი“ — „კარკინ რეინჯერსი“ — 5:2, 4:1
- „ატლეტიკო“ — „ჰაიდუკი“ — 1:0, 2:1
- „ლევსკი-სპარტაკი“ — „ბოაისტა“ — 1:3, 2:0
- „ანდერლექტი“ — „გალათასარაი“ — 5:1, 5:1
- „ჰამბურგი“ — „ჰარტს ოფ მიდლოტიანი“ — 4:2, 4:1
- „შლიონსკი“ — „ბოჰემიანსი“ — 3:0, 1:0
- „ნაპოლი“ — „აპოელი“ — 1:1, 2:0

### მესამე წრე — მეოთხედფინალი

(2 და 16 მარტი)

- „ატლეტიკო“ — „ლევსკი-სპარტაკი“ — 1:2, 2:0
- „ანდერლექტი“ — „საუთჰემპტონი“ — 2:0, 1:2
- „ჰამბურგი“ — მტკ — 1:1, 4:1
- „ნაპოლი“ — „შლიონსკი“ — 0:0, 2:0

### მეოთხე წრე — ნახევარფინალი

(6 და 20 აპრილი)

- „ატლეტიკო“ — „ჰამბურგი“ —
- „ნაპოლი“ — „ანდერლექტი“ —

## უეფა-ს თასი

ამ შეჯიბრების გამართვის იდეა პირველად 1955 წელს გამოითქვა. შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი ტურნირისა, რომელმაც ოფიციალურად მიიღო სახელწოდება: „ბაზრობათა ქა-



ლაქების თასი“. კომიტეტმა გადაწყვიტა საასპარეზოდ დაეშვა ბაზრობათა მომწყობი ქალაქების ნაკრები გუნდები და მატჩები ბაზრობის დღეებში ჩატარებინა. მაგრამ ეს განუხორციელებელი გადაწყვეტილება იყო იმიტომ, რომ ბაზრობა სხვადასხვა დროს იმართებოდა. შემდეგ გადაწყდა სათამაშოდ დაეშვათ საკლუბო გუნდები, თანაც აუცილებელი არ იყო ეს კოლექტივები ბაზრობის მომწყობი ქალაქებიდან ყოფილიყვნენ.

ამ ტურნირში მონაწილეობის კანდიდატების დასახელება დაევალოთ ფეხბურთის ეროვნულ ფედერაციებს.

ბაზრობათა თასის გათამაშების მონაწილეთა რაოდენობა მუდამ აღემატებოდა ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებებში მოასპარეშეთა რიცხვს. დებულება ითვალისწინებდა თითოეული ქვეყნიდან არა უმეტეს 4 გუნდის მონაწილეობას. თანაც, მონაწილეთა რიცხვმა ბოლო გათამაშებაში 64-ს მიაღწია, თუმცა თავდაპირველად ბევრად მეტი მსურველი იყო (1970 — 71 წლების გათამაშებაში — 96 განაცხადი).

პირველი ტურნირის ორგანიზაცია ნაკლებად სრულყოფილი იყო. გათამაშება 1955 წელს დაიწყო და 1958 წელს დამთავრდა. მხოლოდ 1960 წლიდან მიიღო ტურნირმა ნორმალური სახე. შეჯიბრება ერთი წლის გაზაფხულზე ან შემოდგომაზე იწყებოდა და შემდეგი წლის მაისში ან ივნისში მთავრდებოდა.

პირველი გათამაშების სტარტი ქალაქების ნაკრებმა კოლექტივებმა აიღეს, ხოლო ფინიშთან მივიდნენ... საკლუბო გუნდები. ფინალში გავიდნენ „ჩელსი“ და „ბარსელონა“.

ტურნირის პოპულარობა წლითი წლობით იზრდებოდა, რაც უპირველეს ყოვლისა, მონაწილეთა სიძლიერით უნდა აიხსნას.

1971 წლიდან ბაზრობათა თასის ნაცვლად გუნდები უეფას თასს ეცილებიან ერთმანეთს. უწინდელი პრიზი — ბაზრობათა თასი — 1971 წლის შემოდგომაზე სამუდამოდ ჩაიბარა მისმა პირველმა მფლობელმა „ბარსელონამ“, ვინაიდან მან ამ ჯილდოს ბოლო (1970—71 წწ.) მფლობელი „ლიდს იუნაიტედი“ დაამარცხა ანგარიშით 2:1.

უეფას თასის გათამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ, როგორც ბაზრობათა თასის გათამაშებაში

ისე აქაც მონაწილეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 64-ს. შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ გუნდებს ევროპის იმ ქვეყნებისა, რომლებიც ფიფა-ს წევრები არიან. ამასთან, მონაწილეთა რაოდენობა დამოკიდებულია ამა თუ იმ ქვეყნის საკლუბო გუნდების მიღწევებზე ამ ტურნირში.

უეფას თასის გათამაშების კენჭისყრისას მიმართავენ უძლიერესთა განთესვის პრინციპს. გათვალისწინებულია ის გარემოებაც, რომ ერთი ქვეყნის გუნდები მეოთხედფინალამდე არ შევხვდნენ ერთმანეთს. ტურნირის რეგლამენტი იგივეა, რაც ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებისა. გუნდები ორჯერ ხვდებიან ერთმანეთს: შინ და გარეთ. გამარჯვებულია ის, ვინც ორი თამაშის ჯამში მეტ გოლს გაიტანს. თუ ეს შედეგებიც ერთნაირია, მეორე მატჩში ინიშნება დამატებითი 30 წუთი. და თუ გამარჯვებული ამჯერადაც არ გამოვლინდა, უძლიერესი ხუთმა პენალტმა უნდა დაასახელოს.

მოგვყავს თასის მფლობელებისა და ფინალისტების სია:

1955-58 წ.წ. „ბარსელონა“ (ესპანეთი) — „ჩელსი“ (ლონდონი, ინგლისი) — 2:2, 6:0.

1958-60 წწ. „ბარსელონა“ (ესპანეთი) — „ბირმინგემი“ (ინგლისი) — 1:1, 4:1.

1960-61 წწ. „რომა“ (იტალია) — „ბირმინგემი“ (ინგლისი) — 2:2, 2:0.

1961-1962 წწ. „ვალენსია“ (ესპანეთი) — „ბარსელონა“ (ესპანეთი) — 6:2, 1:1.

1962-1963 წწ. „ვალენსია“ (ესპანეთი) — „დინამო“ (ზაგრები, იუგოსლავია) — 2:1, 2:2.

1963-64 წ.წ. „სარაგოსა“ (ესპანეთი) — „ვალენსია“ (ესპანეთი) — 2:1.

1964 — 65 წ.წ. „ფერენცვაროში“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) — „იუვენტუსი“ (ტურინი, იტალია) — 1:0.

1965 — 66 წ.წ. „ბარსელონა“ (ესპანეთი) — „სარაგოსა“ (ესპანეთი) — 0:1, 4:2.

1966 — 67 წწ. „დინამო“ (ზაგრები, იუგოსლავია) — „ლიდს იუნაიტედი“ (ინგლისი) — 2:0, 0:0.



1967-68 წ.წ. „ლიდს იუნაიტედი“ (ინგლისი) — „ფერენ-ცვაროში“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) — 1:0, 0:0.

1968 — 69 წ.წ. „ნიუკასლ იუნაიტედი“ (ინგლისი) — „უი-პეშტ დოჟა“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) — 3:0, 3:2.

1969 — 70 წ.წ. „არსენალი“ (ლონდონი, ინგლისი) — „ანდერლექტი“ (ბრიუსელი, ბელგია) — 1:3, 3:0.

1970—71 წ.წ. „ლიდს იუნაიტედი“ (ინგლისი) — „იუვენ-ტუსი“ (ტურინი, იტალია) — 2:2, 1:1 (ინგლისელებმა გაიმარ-ჯვეს მეტოქეთა მინდორზე გატანილი ორი გოლის წყალო-ბით).

1971—72 წ.წ. „ტოტენჰემ ჰოტსპური“ (ლონდონი, ინგლი-სი) — „ვულვერჰემპტონ უონდერერსი“ (ინგლისი) — 2:1, 1:1

1972—1973 წწ. „ლივერპული“ (ინგლისი) — „ბორუსია“ (მიონჰენგლადბახი, გფრ) — 3:0, 0:2.

1973-74 წ.წ. „ფეიენოორდი“ (როტერდამი, ჰოლანდია) — „ტოტენჰემ ჰოტსპური“ (ინგლისი) — 2:2, 2:0.

1974—75 წ.წ. „ბორუსია“ (მიონჰენგლადბახი, გფრ) — „ტვენტე“ (ენსხედე, ჰოლანდია) — 0:0, 5:1.

1975—76 წწ. „ლივერპული“ (ინგლისი) — „ბრიუგე“ (ბელგია) — 3:2, 1:1.

საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ ამ გათამაშება-ში ჩვენი კლუბების მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო 1970 წელს.

შეიძლება ითქვას, რომ უეფა-ს თასის გათამაშება იმ ტურ-ნირებს შორის, რომლებიც ევროპის საკლუბო გუნდებისთვის ტარდება, მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით ყველაზე წარ-მომადგენლობითია: უკანასკნელ წლებში მის პირველ წრეში ყოველთვის მონაწილეობს 60-ზე მეტი გუნდი. ამ გუნდების უმეტესობას აქვს საერთაშორისო ტურნირებში გამოსვლის დიდი გამოცდილება.

თავდაპირველად გადაწყვიტეს, რომ საბჭოთა ფეხბურთს უეფა-ს თასის გათამაშებაში წარმოადგენდეს ორი გუნდი — მოსკოვის „სპარტაკი“ და თბილისის „დინამო“. ამ გუნდებმა 1970 წლის საკავშირო ჩემპიონატში შესაბამისად III და IV

ადგილები დაიკავეს. მაგრამ ტურნირში მონაწილეობა მხო-ლოდ სპარტაკელებმა მიიღეს.

უეფა-ს თასის შემდგომ გათამაშებაში (1971—72 წ.წ.) მონაწილეობა მიიღეს 1971 წლის საკავშირო პირველობის ვერც-ხლისა და ბრინჯაოს პრიზიორებმა — ერევნის „არარატმა“ და თბილისის „დინამომ“. კენჭისყრამ დინამოელებს წილად არგუ-ნა შეხვედრები ჰოლანდიის „ტვენტეს“ გუნდთან. 1972 წლის 13 ოქტომბერი თბილისის „დინამოს“ ისტორიაში შევიდა რო-გორც ღირსშესანიშნავი თარიღი: ამ დღეს გუნდმა ჩაატარა თა-ვისი პირველი ოფიციალური მატჩი ევროპულ ტურნირში. აი ჩვენი გუნდის შემადგენლობა ამ შეხვედრაში: გოგია, ძოძუა-შვილი, ხურცილავა, ჭელიძე, ხინჩაგაშვილი, პეტრიაშვილი, მა-ჩაიძე, ასათიანი, გუცაევი (ლ. ნოდია), გ. ნოდია, ყიფიანი.

ეს მატჩი თბილისელებმა მოიგეს ანგარიშით 3:2. გოლები გაიტანეს გუცაევმა — 2, ყიფიანმა.

მინიმალური სხვაობით მოგებამ და ჰოლანდიელთა მიერ გა-ტანილმა ორმა ბურთმა შესამჩნევად გააძნელა თბილისელთა მდგომარეობა. წინ იყო რთული მატჩი სტუმრად. შიში გამარ-თლდა: „ტვენტემ“ საკუთარ მინდორზე ენსხედეში უფრო ძლიერად ითამაშა და გაიმარჯვა — 2:0. „დინამოს“ შემად-გენლობა: გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ებრალი-ძე, პეტრიაშვილი (გავაშელი), მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, გ. ნოდია (ლ. ნოდია), ყიფიანი. ჰოლანდიელებმა მოიპოვეს შემ-დეგ წრეში თამაშის უფლება.

უეფა-ს თასის ახალი — 1973 — 74 წ.წ. გათამაშებაში საბ-ჭოთა ფეხბურთის ღირსებას იცავდნენ კიევისა და თბილისის დინამოელები. კიეველებს პირველ წრეში შედარებით იოლი მეტოქე შეხვდა — ნორვეგიის კლუბი „ფრედრიკსტადი“. ხოლო, რაც შეეხება სოფის „სლავიას“, რომელიც კენჭისყ-რამ არგუნა თბილისის „დინამოს“ უეფა-ს თასის გათამაშების I წრეში, იგი ბულგარეთის ერთ-ერთი უძველესი და უძლიე-ერსი გუნდი იყო.

1973 წლის 19 სექტემბერს თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე შედგა პირველი მატჩი თბილისის „დინამოსა“ და სოფის „სლავიას“ შორის. ჩვენმა ფეხბურთელებმა ძალიან



ძლიერად ჩაატარეს ეს შეხვედრა და გაიმარჯვეს დამაჯერებელი ანგარიშით — 4:1 (2:0). „დინამოს“ შემადგენლობა ასეთი იყო: გოგია, ებრალიძე, კანთელაძე, ჭელიძე (ხიზანიშვილი), ხინჩიგაშვილი, გავაშელი, მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, გ. ნოდია, ლ. ნოდია. ბურთები გაიტანეს ლ. ნოდია — 2, გ. ნოდია და მაჩაიძემ.

საპასუხო მატჩი სოფიაში 3 ოქტომბერს ძნელი გამოდგა დინამოელთათვის. მაგრამ სტუმრებმა მაინც გაუძლეს „სლავის“ მასირებულ იერიშებს. მართალია, მასპინძლებმა ამჯერად გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0, მაგრამ ჯამში ორი მატჩის შედეგი იყო 4:3 თბილისელთა სასარგებლოდ.

ბულგარეთის დედაქალაქში თბილისის „დინამო“ შემდეგი შემადგენლობით გამოდიოდა: გოგია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ებრალიძე, ხინჩიგაშვილი, გავაშელი, მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, გ. ნოდია, ყიფიანი (ლ. ნოდია).

ოფკ (ბელგრადი), რომელთანაც თბილისის „დინამოს“ მოუხდა ბრძოლა მეტეჯესმეტედფინალში, სიძლიერით უდავოდ აღემატებოდა ჩვენი გუნდის წინა მეტოქეს — სოფის „სლავის“.

თბილისის „დინამომ“ მატჩი ბელგრადის ოფკ-სთან საუკეთესოდ ჩაატარა, ყოველმხრივ აჯობა მეტოქეს და სოლიდური მარაგით გაიმარჯვა (3:0).

იუგოსლაველებთან პირველ მატჩში (თბილისი, 24 ოქტომბერი) „დინამო“ ასეთი შემადგენლობით გამოვიდა: გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა (კანთელაძე), ხინჩაგაშვილი, ებრალიძე, მაჩაიძე, ასათიანი, ყიფიანი (წერეთელი), გ. ნოდია, ლ. ნოდია, გოლები გაიტანეს ყიფიანმა, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

7 ნოემბერს ბელგრადში შესდგა ოფკ-სა და „დინამოს“ განმეორებითი მატჩი.

დინამოელებმა შეხვედრა შესანიშნავად ჩაატარეს, მათი უპირატესობა აშკარა იყო. ამაზე საბოლოო ანგარიშიც მეტყველებს — 5:1. მეშვიდე წუთზე დაახლოებით 25 მეტრიდან უძლიერესი დარტყმით ანგარიში ვ. ჭელიძემ გახსნა. 10 წუთის შემდეგ გ. ნოდია ანგარიში გაზარდა, ხოლო 35-ე წუთზე

ბრწყინვალედ ითამაშა კ. ასათიანმა. მან ბურთი მიაწოდა ლ. ყიფიანს, რომელმაც შესამედ აიღო კარი. შესვენების შემდეგ ყიფიანმა და ზ. წერეთელმა კიდევ უფრო განამტკიცეს „დინამოს“ წარმატება. გუნდი მერვედფინალში გავიდა.

„დინამოს“ შემადგენლობა ამ მატჩში ასეთი იყო: გოგია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ჭელიძე, ებრალიძე (გავაშელი), მ. მაჩაიძე, ასათიანი, ყიფიანი (წერეთელი), გ. ნოდია, ლ. ნოდია.

მერვედფინალისტთა წილისყრამ თბილისის „დინამოს“ ძალზე ძლიერი და გამოცდილი მეტოქე არგუნა — ინგლისის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კლუბი — „ტოტენჰემ ჰოტსპური“ — უეფა-ს თასის პირველი მფლობელი, თავისი ქვეყნის ჩემპიონატში და თასის გათამაშებაში მრავალჯერ გამარჯვებული.

პირველი მერვედფინალური მატჩი (იგი გაიმართა 28 ნოემბერს თბილისში „ლოკომოტივის“ სტადიონზე) საინტერესო და დაძაბულ ბრძოლაში წარიმართა ინგლისელებმა ანგარიში პირველ ტაიმში გახსნეს. დინამოელებს კარის აღების რამდენიმე რეალური მომენტი ჰქონდათ, მაგრამ მხოლოდ ერთი გამოიყენეს. 71-ე წუთზე ასათიანის დარტყმა ზუსტი აღმოჩნდა. მატჩი ფრედ დამთავრდა — 1:1.

ეს მატჩი დინამოელებმა შემდეგი შემადგენლობით ითამაშეს: გოგია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ჭელიძე, ებრალიძე (წერეთელი), მ. მაჩაიძე, ასათიანი, ყიფიანი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

ფეხბურთის მოყვარულნი დიდი ინტერესით ელოდნენ 12 დეკემბერს განმეორებითს მატჩს, რომელიც „ტოტენჰემის“ მინდორზე „უაიტ ჰარტ ლენის“ სტადიონზე შედგა. მასპინძლებმა მაღალი კლასის თამაში აჩვენეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 5:1.

„დინამო“ ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, ებრალიძე, მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი (ლ. ნოდია), გ. ნოდია, ყიფიანი.

მორიგ გათამაშებაში, რომელიც ახლა მიმდინარეობს სტარტი აიღო ორმა ჩვენმა გუნდმა — მოსკოვის „დინამომ“ და



დონეცის „შახტიორმა“ მოგვყავს ჩატარებული მატჩების შედეგები.

**პირველი წრე — ოცდამეთორმეტედფინალი**

„შახტიორი“ (დონეცკი) — „დინამო“ (ბერლინი, გდრ) — 3:0, 1:1

აეკ (ათენი, საბერძნეთი) — „დინამო“ (მოსკოვი) — 2:0, 1:2.

„კიოლნი“ (გფრ) — გკს (ტიბი, პოლონეთი) — 2:0, 1:1.

„რესინგ უაიტი“ (ბელგია) — „ნესტვედი“ (დანია) — 3:0, 4:0

„ესტერი“ (ვეკშე, შვეცია) — „კუოპიო“ (ფინეთი) — 2:3, 2:0

„ფკიენოორდი“ (როტერდამი, ჰოლანდია) —

„იურგორდენი“ (სტოკჰოლმი, შვეცია) — 3:0, 1:2

„ბაზელი“ (შვეიცარია) — „გლენტორანი“ (ბელფასტი, ჩრდ. ირლანდია) — 2:3, 3:0

„სლოვანი“ (ბრატისლავა, ჩეხოსლოვაკია) — „ფრამი“ (რეიკიავიკი, ისლანდია) — 3:0, 5:0

„კუინზ პარკი“ (ლონდონი, ინგლისი) — „ბრანი“ (ოსლო, ნორვეგია) — 4:0, 7:0

„ვისლა“ (კრაკოვი, პოლონეთი) — „სელტიკი“ (გლაზგო, შოტლანდია) — 2:2, 2:0

„დერბი ქაუნტი“ (ინგლისი) — „ფინ ჰარფსი“ (ირლანდია) — 12:0, 4:1

„სვაროვსკი-ვაკერი“ (ინსბრუკი, ავსტრია) — „სტარტი“ (ქრისტიანსენი, ნორვეგია) — 2:1, 5:0

„აინტრაჰტი“ (ბრაუნშვეიგი, გფრ) — „ჰოლბეკი“ (დანია) — 7:0, 0:1

„მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი) — „აიაქსი“ (ამსტერდამი, ჰოლანდია) — 0:1, 2:0

„მაგდებურგი“ (გდრ) — „ჩეზენა“ (იტალია) — 3:0, 1:3.

„ბარსელონა“ (ესპანეთი) — „ბელენენსენი“ (ლისაბონი, პორტუგალია) — 2:2, 3:2

„ჰიბერნიანი“ (ედინბურგი, შოტლანდია) — „სოშო“ (საფრანგეთი) — 1:0, 0:0

„ლოკერენი“ (ბელგია) — „რედ ბოისი“ (ლუქსემბურგი) — 3:0, 3:1

„იუვენტუსი“ (ტურინი, იტალია) — „მანჩესტერ სიტი“ (ინგლისი) — 0:1 2:0

„შალკე — 04“ გელზენკირჰენი“ (გფრ) — „პორტუ“ (პორტუგალია) — 2:2, 3:2

„ესპანიოლი“ (ბარსელონა, ესპანეთი) — „ნიცა“ (საფრანგეთი) — 3:1, 1:2

„გრასჰოპერსი“ (ციურიჰი, შვეიცარია) — „ჰიბერნიანსი“ (ლა-ვალეტა, მალტა) — 7:0, 2:0

„ატლეტიკი“ (ბილბაო, ესპანეთი) — „უიპეშტ-დოჟა“ (უნგრეთი) — 0:1, 5:0

„კაიზერსლაუტერნი“ (გფრ) — „ატლეტიკ უნიონი“ — 3:1, 8:0

„აკადემიკი“ (სოფია, ბულგარეთი) — „სლავია“ (პრაღა, ჩეხოსლოვაკია) — 0:2, 3:0

„ვიდეოტონი“ (სეკეშფეჰერვარი, უნგრეთი) — „ფენერბახჩე“ (სტამბოლი, თურქეთი) — 0:2, 4:0

„დინამო“ (ზაგრები, იუგოსლავია) — ასა (ტირგუ-მურეში, რუმინეთი) — 1:0, 3:0

„ჰონვედი“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) — „ინტერნაციონალე“ (მილანი, იტალია) — 1:0, 1:1.

„ცრვენა ზვეზდა“ (ბელგრადი, იუგოსლავია) — „ლოკომოტივი“ (სოფია, ბულგარეთი) — 1:2, 4:1.

„აუსტრია“ (ზალცბურგი, ავსტრია) — „ადანასპორი“ (თურქეთი) — 5:0, 0:2

„სპორტულ სტუდენტესი“ (ბუქარესტი, რუმინეთი) — „ოლიმპიაკოსი“ (პირეოსი, საბერძნეთი) — 3:0, 1:2

„მილანი“ (იტალია) — „დინამო“ (ბუქარესტი, რუმინეთი) — 0:0, 2:1



**მეორე წრე — მეთექვსმეტედღიანალი**

(20 ოქტომბერი — 3 ნოემბერი)

„შახტიორი“ — „ჰონვედი“	— 3:0, 3:2
„კიოლნი“ — „გრასჰოპერსი“	— 2:0, 3:2
„რესინგ უაიტი“ — „ვისლა“ — 1:1, 1:1, პენალტებით	— 5:4
„ესტერი“ — „ჰიბერნიანი“	— 0:2, 4:1
„ფეიენოორდი“ — „კაიზერსლაუტერნი“	— 2:2, 5:0
„მილანი“ — „აკადემიკი“	— 3:4, 2:0
„კუინზ პარკი“ — „სლოვანი“	— 3:3, 5:2
„ატლეტიკი“ — „ბაზელი“	— 1:1, 3:1
„მაგდებურგი“ — „დინამო“ (ზაგრები)	— 2:0, 2:2
აეკ — „დერბი ქაუნტი“	— 2:0, 3:2
„ესპანიოლი“ — „აინტრაპტი“	— 1:2, 2:0
„ვიდეოტონი“ — „სვაროვსკი-ვაკერი“	— 1:1, 1:0
„ცრვენა ზვეზდა“ — „აუსტრია“	— 1:2, 1:0
„ბარსელონა“ — „ლოკერენი“	— 2:0, 1:2
„იუვენტუსი“ — „მანჩესტერ იუნაიტედი“	— 0:1, 3:0
„შალკე-04“ — „სპორტულ სტუდენტესი“	— 1:0, 4:0

**მესამე წრე — მერვედღიანალი**

(24 ნოემბერი და 8 დეკემბერი)

„იუვენტუსი“ — „შახტიორი“	— 3:0, 0:1
„რესინგ უაიტი“ — „შალკე-04“	— 1:0, 1:1
„ფეიენოორდი“ — „ესპანიოლი“	— 1:0, 2:0
„მაგდებურგი“ — „ვიდეოტონი“	— 5:0, 0:1
„კუინზ პარკი“ — „კიოლნი“	— 3:0, 1:4
აეკ — „ცრვენა ზვეზდა“	— 2:0, 1:3
„ბარსელონა“ — „ესტერი“	— 3:0, 5:1
„ატლეტიკი“ — „მილანი“	— 4:1, 1:3

**მეოთხე წრე — მეოთხედღიანალი**

(2 და 16 მარტი)

„ატლეტიკი“ — „ბარსელონა“	— 2:1, 2:2
აეკ — „კუინზ პარკი“ — 0:3, 3:0, პენალტებით	— 7:6
„იუვენტუსი“ — „მაგდებურგი“	— 3:1, 1:0
„რესინგ უაიტი“ — „ფეიენოორდი“	— 0:0, 2:0

**მეხუთე წრე — ნახევარდღიანალი**

(6 და 20 აპრილი)

„ატლეტიკი“ — „რესინგ უაიტი“	
„იუვენტუსი“ — აეკ	